საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, "<BKBCB^ ბულუას ქნა,* NTK% 72 17 48, ფაქსი: 72 17 48, E-mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

ბ. ა
(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___ 185 ___

"__15__" ____ 12 ____ 2005 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის კატეგორია – პირველი
2. პროექტის დასახელება – ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
3. ინვესტორის დასახელება და მისამართი –შ.პ.ს. „ალავერდი" ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. №2
4. განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. №2, მეტალურგიული კომბინატის ტერიტორია
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი –27.10.2005
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შ.პ.ს „ალავერდი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია შ.პ.ს. „ალავერდი“-ს მიერ ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

შ.პ.ს. „ალავერდი“-ს ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, გაგარინის ქ. №2, მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზე, სატრანსპორტო მაგისტრალების მახლობლად.

ნამუშევარი ზეთების გადამუშავების ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: დალექვა, გაფილტვრა, აორთქლება, კონდენსირება, ცენტრიფუგირება და ადსორბცია. გარდა ამისა, იწარმოებს მინერალური ფილტრების აღდგენა.

ტექნიკური ზეთების რეგენერაციის სისტემები წარმოადგენენ ხმარებაში მოხვედრილი ზეთების გასუფთავებისა და განსაზღვრულ კონდიციამდე მიყვანის სისტემებს. გადასამუშავებელი ზეთები საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე შემოიტანება ავტოტრანსპორტით და თვითდინებით ჩაიცლება მიწისქვეშა საცავში. საწარმოში გამოყენებული აზოტი შემოიტანება ბალონებით. დაგეგმილი წარმოების წარმადობა შეადგენს 4ტ/დღ, ერთცვლიანი 300 სამუშაო დღეზე გაანგარიშებით წელიწადში.

საწარმოში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით წარმოიქმნება ჩამდინარე წყალი. პროცესების შედეგად მიღებული ყველა ჩამდინარე წყალი იკრიბება ნავთობ-საჭერ სალექარში, აქედან ნავთობპროდუქტი კვლავ ბრუნდება სისტემაში გადასამუსავებლად, ხოლო გაწმენდილი წყალი კი უერთდება სამრეწველო კანალიზაციის სისტემას.

საწარმოო ნარჩენები ძირითადად მიიღება რეგენერაციის კვანძის აპარატებისა და მილგაყვანილობის გაწმენდისა და რემონტის ჩატარებისათვის მათი მომზადების დროს. ამაორთქლებლის კუბში აუორთქლებელი ნარჩენი მექანიკურ მინარევებთან ერთად გროვდება კასრებში. დაგროვილი ნარჩენი დროდადრო გადაიტანება საწარმოდან და მიეწოდება ასფალტის წარმოებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში მოცემულია ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებები და უსაფრთხოების ზომები, ავარიების რეაგირების გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმა და ა.შ.

III. შენიშვნები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მითითებით;
2. სახანძრო უსაფრთხოებისთვის აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო ქაფის სისტემის დამონტაჟება სპეციალური ხელსაწყოებით. მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი იქნას სპეცტანსაცამლით.
3. პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისას აღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის უშუალო მონაწილეობით და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დასკვნა.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

შ.პ.ს „ალავერდი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, ქ.რუსთავში მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზე ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის საწარმოს ობიექტის გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი მისი გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

ნ.ხეცურიანი
(სახელი, ვვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოსდაცვითი ნებართვა № 0249

კოდი 001 "20" დეკემბერი 2005

1.	ნებართვის მიმღები სუბიექტი	ფ.ჯ.ს. „ალავერდი"
2.	საქმიანობის მიზანი	ნაქექვარი ზეთების რეგენერაცია
3.	განსახორციელებელი საქმიანობის აღგილმდებარეობა	ქ.რუსთავი, გავარნის ქ. №2, მეტალურგიული კომბინატის ტერიტორია
4.	დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	ფ.ჯ.ს „ალავერდი"
5.	ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში
6.	ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №185; 15.12.2005
7.	ნებართვის მოქმედების ვადა	5(ხუთი) წელი
8.	ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პირობების აუცილებელ შესრულების პირობით (იხ. 1 გვ)

გარემოსდაცვითი ნებართვა გაცემულია
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროს მიერ

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	ნ. ხეკურიანი კომისიის თავმჯდომარე
გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	ი. კვაჭრელაძე დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის მინისტრს, ბატონ გიგლა აგულაშვილს

შპს „ალავერდის“

(ს/კ 234208595. მის.: მარნეული, რუსთაველის ქ. 46)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გიგლა,

ვაცნობებთ, რომ შპს „ალავერდს“ 2005 წელს მიღებული აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის საქმიანობაზე. აღნიშნულ ნებართვას გაუვიდა მოქმედების ვადა.

საწარმოს ექსპლუატაციის ტექნოლოგიაში და პირობებში ცვლილებები არ განხორციელებულა და დარჩა იგივე, რაც მოცემულია 2005 წელს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

ვთხოვთ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის შესაბამისად გაგვიგძელოთ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ვადა.

პატივისცემით,

გიორგი გოგატიშვილი

შპს „ალავერდის“ დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 7555 , 12

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060133121672217

ბრძანება No-217

ქ. თბილისი

27 / აპრილი / 2017 წ.

შპს „ალავერდი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს შპს „ალავერდი“-ს ნარჩენების აღდგენაზე (ნამუშევარი ზეთების რეგენერაცია; ქ. რუსთავი, გაგარინის ქ.№2, მეტალურგიული კომბინატის ტერიტორია) გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა;
2. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ალავერდი“–ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალავერდი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000254

კოდი MD1 „27" „04" 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „ალიკელერი"

2. საქმიანობის მიზანი
ნარჩენების აკუმულირება (სარეკულტივაციო ბალიშების რეგენერაციისა)

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. რუსთავი, გალვანირების ქ. №2; ზესტაფონი კონტინენტის ტერიტორია.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „ალიკელერი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
საქართველოს ეროვნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №185; 15.12.2005.

7. ნებართვის პირობები ნებართვა ძალაშია საქართველოს ეროვნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარ ლორთქიფანიძე
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სსს-ს რეგისტრაციის N 76-4034